

თეატრი



№ 31 საყოველ-კვირობო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი. № 31

3 აპრილი 1926 წელს. 1926 წელს.

ფასი «თეატრი»-ს წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით სელის მოწერას ან მიიღება. ცალკე ნომერი «თეატრი»-ს ღირს სამი შაური. სელის მოწერას მიიღება: თბილისში «თეატრი»-ს რედაქციაში: ანწრუხისკულ ქარვასლაში, № 110. და ქ. ფოთში ბუნაძის კაფანდამქონან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію «Театръ.»

გაზეთი «თეატრი» პირველის ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მანეთი.

სხუვრების თეატრი


დანაპირებს ვასრულებთ.—ბ. მურიეს აზრი „ვეფხისტყაოსანზე.“—რა მოიგო „ვეფხისტყაოსანმა“ ფრანკულად გადათარგმნით?—რას მოიგებს ბ. მურიე ქართულად გადმოთარგმნით?—ვისთვის გამოდის „ნოვოე ობოზრენიე“ და რას აღევნებს თვალ-ყურს ეს გაზეთი?—ბ. სულხანოვი ძალად—გამოლვაწებული „ნოვოე ობოზრენისაგან“.—

წარსული წერილი იმით გავათავე რომ მკითხველს მურიესე დასაზრას დავპირდი და დღესვე ამ დანაპირებს ვასრულებ. მართლ ეს კმარა, რომ მკითხველების თვალში სახელი გავიკეთო და დღეის იქით ჩემს სიტყვას ენდონ. მერე ეხლანდელს დროში ბევრი გამოვა სიტყვის შემსრულებელი? თუ იმასაც შეიტყობთ, რა ძნელი იყო ჩემთვის ამ შემთხვევაში სიტყვის შესრულება, მაშინ ხომ თქვენს წინაშე მე უბრალოდ ვედარავინ დამამკირებს.

ხუმრობა ხომ არ არის, ფრანკულულ ბროშურაზედ სიტყვის ჩამოგდებას დავპირდით და

მთელი ერთი კვირა ამ ბროშიურაზედ უნდა მეტვრია თავი, რადგან ფრანკულულში ცოტა დაქვეითებული განლაგართ. მე გიმნაზიაში, ჩვენის ახალგაზდების ჩვეულებისამებრ, მარტო მეოთხემდის მივაღწიე და ხეირიანად მხოლოდ ერთი ფრაზა-და მახსოვს: „მონ პერ ე გრან ე მა მერ ე პტიტ“, რომლისათვისაც განსვენებული მუსიკა ბინტალონი სამს მინუსით დამინიშნავდა ხოლმესაკლასო ქურნალში. მაგრამ დვთის-ნიერი ადამიანი არ დაიღევა დედამიწის ზურგზედ, გამოძინდა ერთი მეგობარი, რომელსაც ეს ენა ისე არ უჭირდება, როგორც კარგს მგოსანს ჩოგნის ცემა და სიტყვა—სიტყვით ვადამოძიარგმნა თხზულება ბ. მურიესი:...

...წერტილებით გავათავე და წერტილებით ვიწყებ! წერტილები, როგორც მოგვხსენებათ, გაცების ნიშანია: ამ თარგმანის წაკითხვამდე მოწიწებით ვეპურობოდი პატარა თექვსმეტ—გვერდიან ლამაზად დაბეჭდილს ბროშიურას, სიბრძნის წყარო მეგონა იგი და ბ. მურიე, „აფიცერი სახალხო განათლებისა“—ეს იმისი



ტიტული გახლავთ—ამ სიბრძნის სათავედ. ვითომ საბუთი არა მქონდა? ნახეთ ამ ბროშიურის უდა: ვკონებ სულ თექვსმეტი კვირა არ არის, რაც ბ. მურიე კავკასიის ლიტერატურაში მოღვაწეობს და თექვსმეტი თზულება კი გამოუცხვ... უკაცრავად, გამოუცია და სამის გამოცემას კიდევ მალე აპირობს. მერე რაზედ არ უწერია: ხელოვნებაზედ, სარწმუნოებაზედ, ისტორიაზედ, მხედრობაზედ; გამოუცია არხეოლოგიურ კრების პრაგრამა, გზის მაჩვენებელი თბილისიდან კავკასამდე, თბილისის მუზეუმის კატალოგი, კატალოგი ერმიაძინის ბიბლიოთეკისა, დიად ესენიც თზულებანი არიან... მოდით და ამისთანა კაცის წინაშე ნუ იტყვით: „დიდება მრავალ—აზროვნებასა შენსაო.“ სწორედ ამის გამო რუსთაველზედ ნათქვამი ბ. მურიესაგან წმინდა ჭემპარიტება მეგონა და მიხდოდა მკითხველისათვისაც გადამეცა. მაინც მე ჩემსას არ დავიშლი და მკითხველს—ამ ზაქარია ჭიჭინაძის, ფუ, კიდევ უკაცრავად, ბ. მურიეს ნაწარმოებს დაწვრილებით გავაცნობ.

პირველი თავი რუსთაველის ბიოგრაფია გახლავთ. როდის დაიბადა, როდის წავიდა ათინაში, რა გააკეთა იქ, როგორ გამოზარდა იგი ორტელიშვილმა და მასუკან მაჭანკლად გაუნდა; უყვარდა თამარს რუსთაველი თუ არა; როგორ მოხდა რომ რუსთაველი მაშინ გაეყარა თავის ცოლს, როდესაც თამარს პირველი ქმარი სოსლანი მოუკვდა და მეორე დავითი ჯერ არ შეერთო (??) ერთის სიტყვით კიდევ ბევრს ამისთანა ჭორებსა ვნახავდით ბ. მურიეს ბიოგრაფიაში, თუ რომ მას შემთხვევით ხარფუნავლაბარში გაეარნა და რომელსამე ხუმარას მისთვის ძველი ქონები რუსთაველის, ან უვარუვარე ათაბაგის სადგომად ეჩვენებინა. ბ. მურიეს ფანტაზია მაშინვე შეითამაშებდა, უვარუვარეს დაუნათესავებდა რუსთაველს, რადგან პირველი ათაბაგი იყო და რუსთაველი კი ახალციხის ახლო დაიბადა, რაიმე „ინტრიგას გაუკეთებდა“, ერთი-ერთმანეთის რაჟიფად შექმნიდა, ერთმანეთს დუელში დაანოცვინებდა, მასუკან ალაღვენდა და სხვ. და სხვ. ერთის სიტყვით;

„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
„ჭაღას ჩიტი მომკვდარიყო.“
ან რა გაუჭირდებოდა ბ. მურიეს, რომელ-

მაც თამარის მეუღლე დავით სოსლანის ძე უკუ, ნახევარი მოჰკვლა, ნახევარი ცოცხად დააგდო და ვიდრე ამას შეასრულებდა, რუსთაველს ცოლი გაგდებინა, რომ უფრო თავისუფლად გაეარმიყებინა იგი დიდებული თამარისთვის.

მაგრამ მეორე თავს რაც არის, ამ თავში ბ. მურიეს ჩვენი პოეტი სრულიად ვერ გაუთახსირებია—არც ასე იქნებოდა: მასში ჰპოებს იგი განსაკუთრებულს გაბედულობას, დიდებულებას, პიროვნულს ბრწყინვალეობას, თუმცა კი ამ თვისებებს თანა სდევსო სისუსტე, დაუდევნელობა და ზოგიერთი უხამსი ლექსებია...

მასუკან ამბობს:
იმ დროის კვალობაზედ შეხვედებით ვეფხის ტყაოსანში გამოჩენილ ლექსებს, მრავალ განსაკუთრებულ სიტყვა—კაზმას და უოველს ამას ეტყობა რომ დიდის ნიჭის ნაწარმოებია, მაგრამ ამასთანავე როგორ ეტყობა, ძალ-დატანება! როგორ ცხადის განსხვავება ღარიბი შინაარსის და იმ მრავალ საშუალებათა, რომელნიც მას შთაბეჭდილების ჩასახსნავად მოუხმარია. ლექსთა გრენა და თხზვა მშვენიერი აქვს, მაგრამ განა ესა კმარა, რომ რომელსამე თზულებას დიადი დავუძახოთ? ჭფარავს განა ეს თვით ამბის უმინაარსობას, საგნის სისუსტეს, ნამდვილ ხასიათთა უქონლობას?...

„ვეფხვის-ტყაოსანში“ გრძნობათა განვითარებას თანდა-თანობა არ ეტყობა, როგორც არ ეტყობა ეს თვით ამბავს...“

„ტყუილად მოსძებნით ბუნების აღწერას, აღწერას რომელიმე სურათისას, ან ადგილები-სას.“

„სადარის აქ ფთის-ცემა დიდის პოეტისა? სად არის აქ სულის ამადლება ნამდვილის გონება—ამადლებულ კაცისა, რომელიც დიადს აზრს თითქო ფოლადზედა სჭრიდეს ამოუბოცავად და ადამიანის ვნებათ—დეღვას იდეალად სხავდეს...“

„ტყუილად ამას ნუ მეტყვიან, რომ პოეტის მშვენიერების გაგება თუ კვირდა, უნდა ნამდვილში წაიკითხოო. თუ მას გენიოსის სული ჰქონდა ჩამდგარი, მე ვიცნობდი ამ სულს თვით თარგმანის შემწეობითაც.“

„იქნება სამაგიეროდ ზნეობის კანონები იყოლს? სამწუხაროდ, ამისთანას ვერასა ეხედავთ,



ქართული
წიგნების
კავშირი

თუ არ მივიღებთ მხედველობაში მეგობრობას, რომელსაც რუსთაველი თითქმის ყოველსავე სწირავს და რომელიც გაუნდია უმთავრეს საგნად თავის ჰომეოსს. რაც შეეხება სიყვარულს, განა სიყვარულის გამომხატვა ის არის, რომ იგი რაღაც სიტყვიერ კანონებს დამუშორჩილოს, ადამიანს თავგანწირულობა ჩაუნერგოს და უმთავრესი გმირი თითქმის თავის-მოკვლამდე მიიყვანოს?“

„...პირველს პლანზე უმთავრესი გმირი ტარიელია, შეყვარებული, თითქმის გაგიყვებული თავის ნესტარ-დარეჯნისათვის; ეს უკანასკნელი ცბიერი, ენერგიული, უწყალო ქალია; იმის ტირილები ვითომ და სიყვარულის გამოცხადება. მკითხველი მას ძალიან ცოტად თანა უგრძობს...“

„არ შეიძლება ვიკითხოთ რა მოიგო ქართველების სიქადულმა თხზულებამ ფრანკო-რუსულად გადაწვადებით, გადათარგმნით იმ ენაზედ, რომელიც უძღურია აყვავებულ კილოს გადმოღებისათვის... რომელიც ენის მიმოხვრით ვერ დაჰყარავს აზრების უქონლობას და იძულებულია თავის სიმარტივით ეს აზრების უქონელობა გამოაშკარავოს.“

„ამ ჰომეოსს წაკითხვამდე მე წარმოდგენილი მკავდა რუსთაველი იმისთანა არსებად, რომელიც ყველას თავიანთ კერვად მიანდათ და რომლისათვისაც ერთ დროს ქართულმა მუზამ ყოველივე სიმები ააქდერა“...“

„ბ. იონა მეუნარგიამ ამ ჰომეოსს გამოქვეყნებით განა სამსახური გაუწია ჰომეოსს? არა სჯობდა რუსთაველისათვის ხელუწლებლად დაეცობინა ის შარავანდედი დიდებისა, რომლის წინაშე შინაურნი და გარეუღნი თავს იდრეკდენ?.. მომავალი გვიჩვენებს ამას...“



თითქმის სიტყვა—სიტყვით გადმოვთარგმნე უმთავრესი ადგილები ბ. მურიეს ნაწარმოებისა. ეს ვამჯობინე ამიტომ რომ მკითხველებისათვის ბევრი ლაპარაკით თავი არ შემეწყინებინა. ერთად ერთი მართალი სიტყვა ის არის, რომ რუსთაველმა მეტად ღარიბ შინაარსზედ აგო თავის ჰომეო, დანარჩენი „კრიტიკა“ შესახებ ნაძალადეგობისა, ნამდვილი ხასიათების აუწერლობისა ბუნების სურათების დაუნატყველობისა (ეს როდის, მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც ბუნების სურათებს ვერც ერთს თხზულებაში ვერ იპოვით!) აზრების უქონელობისა

და სხვ. და სხვ. ისევ ბ. მურიეს კრიტიკად დასწრის და დმერთმა თავის ჰატრონს მოახმაროს. მხოლოდ ერთს რასმეს ვიტყვით: არა სჯობდა ბ. მურიესათვის მისი „თხზულება“ ფრანკო-რუსულ ენაზედ, ქართული საზოგადოებისათვის გაუგებარი დარჩენილიყო და მისი შინაარსი არავის შეეცყო. აქამდის ბ. მურიეს ვიცნობდით იმისთანა ღიტიერატორად, რომელსაც კალამი ლამაზად უჭრიდა სხვა-და-სხვა მუზეუმების ასაწერად და სხვათა წერილების მისათვისებლად, გადასამურიებლად. ეს უკანასკნელი ცოდავ კიდეც დიდი ცოდავ არ არის ბ. მურიეს თვალში, მაგრამ, როდესაც კაცს კრიტიკისა იმდენი ესმის, რამდენიც მე და შენ, მკითხველო, სხვა უცხო ენისა და მინც კიდეც ერთ უდიდეს თხზულების გაკრიტიკებას ჰკისრულობს თქვესმეტ გვერდზედ ორიოდ კალმის გასმით, მაშინ მოდი და ნუ იტყვი:

„დმერთო გვიხსენ ამისთანა კრიტიკოსები-სავან“



ეს არის ეხლა შევითყე, რომ ბ. არწრუნს „მშაკში“ უქია ბ. მურიეს თხზულება და კვერი დაუკრავს მის შესახებ, რომ თუ თხზულება გენიოსური იყოს, რაც უნდა ცუდად გადითარგმნოს გენიოსის კალამი თარგმანშიაც შეეცობაო, მაშასადამე რუსთაველი უბრალო პოეტი ყოფილაო. მითხრეს ეს, მაგრამ ნამდვილი შინაარსი არ ვიცი, რადგან სომხურში კიდეც უფრო ქვეითად გახლავარ ფრანკო-რუსულზედ. ვწუხვარ, ჭეშმარიტად. ეს ენა ცოტათი მინც რომ მცოდნოდა, ბ. არწრუნის აზრს „ვეფხისტყაოსანზე“ საყველ-პუროდ მინც შევატყობინებდი ჩემს მკითხველებს და რაც უნდა ცუდად მომხელოდა თარგმანი, მინც საფიქრებელი არა იყო-რა, რადგან ბ. არწრუნის დიდის აზრი მინც თვალ-საჩინო იქნებოდა ჩემს მკითხველებისათვის.

კმარა მურიეზედ, ახლა მცირე ჩვენი გაზეთების ამბავი მოისმინეთ.



ვინც ამიხსნის, ვისთვის და რისთვის არსებობს გაზეთი „ნოვოე ობზრენიე“, რაც უნდა საბრიყვო გადამხდევინოს. აი, მოისმინეთ, როგორა სჯის ეს გაზეთი რომელსამე საზოგადო მოვლენაზედ. ვილაც წარმომადგენელი ამ გაზეთისა ყოფილა ს. წინამძღვარიანთ-კარს და უნახავს ბ. წინამძღვრიშვილისაგან დაარსებული სამეურნეო სკოლა ეს მართლა და



ქართული
საზოგადოებრივი
საბჭოთაო ჟურნალი

ხელოვნური პოეზია

სანაქებო სასწავლებელი მეტად მოსწონებია „წარმო-
მადგენელს“ და აი რა დააკენა გამოუყენია: სა-
თავდაზნაურო სასწავლებელი სამეურნეო სკოლად
გადააკეთეთო. მე არ ვიცი ეს სასწავლებელი რა პრო-
გრამას ადგასო; შარშან რომ კომისია იყო, იმან
რა გააკეთა, არც ეს ვიციო; არც ეს ვიცი, რას ას-
წავლიან, როგორ ასწავლიან, რამდენი შევირდოა,
მაგრამ მაინც ამას გირჩევთ სამეურნეო სასწავლებ-
ლად გადააკეთეთო. ბ. სულხანოვი პატარა სამეურნეო
სასწავლებელს თუ კი ასს ღესიატინას სწირავდა, დიდს
რატომ ათასს არ შესწირავსო.

ამას ჰქვიან საზოგადო საქმეებზედ სჯა.

თუმცა იმ კომისიის მოხსენება, რომელიც სა-
თავდაზნაურო სასწავლებლის პროგრამის შესამუშა-
ვებლად იყო დანიშნული, ვრცლად დაიბეჭდა გაზე-
თებში, თუმცა ყოველწლივ ჰხდება საზოგადო კრება,
რომლის წინაშეც კომიტეტი სრულს ანგარიშს იძ-
ლევა ამ სკოლაზედ; თუმცა ეს ანგარიში მასუკან
გაზეთებში იბეჭდება, მაგრამ ხსენებული გაზეთის
„პუბლიცისტი“ ეს არაფერი არ იცის, — ჩვენი რა
ბრალია, რომ არ იცის, და მოწინავე წერილში კი ამ
საგანზედ სჯასა ჰკისრულობს: „სათავდაზნაურო
სასწავლებელი სამეურნეოდ გადააკეთეთო.“ ვთქვათ
კომიტეტმა გაუგონა ამ ბატონს სიტყვა და გადააკეთა.
მერმის რომ იგივე ვაჭბატონი სახელოსნო სასწავლე-
ბელში შევიდეს, ნახოს რომ იქ სწავლა კარგად არის
დაყენებული და სამეურნეო სასწავლებლის სახელო-
სნოდ გადაკეთება გვიჩიოს, მაშინაც გადააკეთეთო;
ესე რომ ვიაროთ სადამდის მიგვიყვანს „ნოვოე
ობოზრენის“ პუბლიცისტი, ეხლავე მაინც შეგვა-
ტყობინოს, რომ თავდარიგი ისე დავიჭიროთ და
სამგზავროსათვის ვიზრუნოთ; ჯერჯერობით კი სულ-
ხანოვთან მიგვიყვანა, რომელსაც ძალად რალაც მი-
წებს აწირვინებს... მოწინავე წერილში.

მებრალემა ჰემმარიტად პატივცემული ბ. სულ-
ხანოვი „ნოვოე ობოზრენის“ ხელში. ის თავის-
თვის არის თავის სოფელში, თავისთვის მეურნეობს,
თავ-თავი დროზედ ლაღებსა და კულუხებსა ჰკრეფს
და „ნოვოე ობოზრენის“ კი უეჭველად უნდა სცე-
ნაზედ გამოიყვანოს იგი და გამოიღვაწეოს, როდ-
ესაც ბ. სულხანოვს სრულიად არ ემოღვაწება. მე მგო-
ნია, ბ. სულხანოვმა მეუღაბნოვს და დათვის არაკი
კარგად არ იცის, თორემ ამ დაყინებულს მეგობარს
რაიმე ღონისძიებით ცხრა მთას იქით გაისტუმრებდა
თავის კარ-მიღამოდამ.

იქ მოვკვდე, იქ დავიმარხო,
იქ დაღვეს ჩემი ძვალები,
სადაც პირველად აღმქმნა
ცრემლებით სახსე თვალები.

იქ დამიჭიროს მდუღარედ
სატრფომ გულისა მკურობელმა
და დამიკრიფოს გულ-ხელი
გულ დათუთქულმა მმოხელმა

არ მინდა შორით უორანისა
რომ ყეფა მომქმნებოდეს,
მხოლოდ მსურს ჩემსა საფლავზედ
მარტოდ ბუღბუღი კვნესოდეს.

ზაყელი.

ფრინველთ მგოსანო, ხმა აღამაღლე,
ეს არის მიდის ცივი ზამთარი,
აპრილის თბილმა ნიავთა ქროლამ
გამოაღვიძა სრულად მთა-ბარი.

კორდებზედ მოჩანს აქა იქ მდელი,
ნამდვილ ნიშანი გაზაფხულისა;
ფრინველთაც იწუეს ჩვეულებრ სტვენა
მომალხნენელი წულულის გულისა.

ეხლა შენც, მეფევე ფრინველთა მუზის
მომართე შენი ტუბილი ჩანგიო,
რომ მოგვანიჭო ყველას სიამე,
ვისაც კი ესმის შენი ჰანგიო.

ქაიხოსრო გელოვანი.

ლემსი ნათქვამი მარია ბატონიშვილის მიერ

ყაბარდას აყო იგი მზე, ბრწყინვალე მონათობელი,
მას ხელმწიფიანა ასაული, ვინ ანს ჩერქეზთა მფლა-
ბელი,
სძლად მოაწოდა მეფემან ზალატის შესაძგობელი,
მანამ იესოს შეესძლა უმანკო დაუჭრებელი.



მან ჭქმნა ქანწული გადასწმინდით სახელოვნო, აგი სოფლისა მნათებელი, ვარდი, ჭყვია და ანა, აქ დასთმო ყველა, დედ-მამა, ედემს ზის ტაცხსაინა აწ რა ჭყობ მანძან მშობელმან, ნახვა მახვდობის გვიანი.

წარმოვთქვა მისი შეგნება, თუ მიწვდეს ჩემი გონება, ხელ-მკლავი ნახად გაზრდილი, შავთა წამწამთა ქონება, უხინჯო ზარის ნახტვრობა ჩინელთა ძაქწონება და ვინთავს ვინადი ნაცრცხლის მკერდს ველან დაეკონება.*)

სასცენო ხელოვნება

მ ი მ ი კ ა

Всѣ чувственныя реакціи имѣютъ свои обозначенія, которыя всѣ болѣе и болѣе становятся знаками, имѣющіе чисто символическій характеръ. Всякое чувство—символично. Дж. Льюისъ

Чувство есть нѣчто внутреннее, о чемъ мы можемъ судить лишь по его внѣшнимъ признакамъ ЛЕССИНГЪ

ამბობენ „ადამიანის სახე მისი სულის სარკვეა“ და მართალიც არის. ჩვენი სახე ჩვენი შინაგანი—სულიერი მიმოძრაობის სარკვეა. სასცენო ხელოვნებაში ზირი-სახეს უმთავრესი ადგილი უჭირავს აკტიორის სეირიანი და ჭეროვანი თამაშობისათვის.—

ხმა და განსაკუთრებით სიტყვა დიდი რამ არის ადა-

(*) ეს ლექსი მივივიღეთ პიტივეცემული კნ. ნინო ორბელიანისაგან შემდეგის წარწერით: „ეს ლექსი მარიამ ბატონი-შვილის ნათქვამია იმ ყაზარდოელს ქალზედ, რომელიც ბატონი-შვილის აღიქმანდრეს საცოლო იყო. იმ ქალს სამი წელიწადი ამზადებდენ აქედან გავზავნილნი მსლებელნი; კავთის ხვეიდან გავუზავნიათ ერთი აზნაური-შვილის ქვრივი ნინა და სხვანი მრავალნი მსლებელნი, რათა შეესწავლებინათ ქცევა ქმნათა სასახლისა და სამის წლის შემდგომ, როდესაც წამოიყვანეს სასძლოთ დეშეთს მასულან თუ არა იმ ყაზარდოელს ქალს ყვაგილი გამოსჩენია და გარდაცვლილა, ხოლო ეს აზნაური-შვილს ქვრივი იმ დღიდანვე განშორებია ამ სოფელს და შესულა მონიზნათ ისე ყვარებია თურმე ის ქალი. ქვრივი ნინა ყოფილა ყოველის ზნეობით სრული და მასთანვე შესანიშნავი ცნენოსანი.—ეს ლექსი გადმომცა კნ. ქეთევან ორბელიანისამ, გიორგი ერისთავის ასულმან,“—

მიანის ბუნებრივ სიმდიდრეში, მაგრამ მარტო სიმდიდრე სიტყვით ჩვენ ვერ განვუხიარებთ სხვას ყოველისთვის იმის, რაც ვკისურს და ვკვადინს; ამ განხიარებაში, ამ ყველა ჩვენი გულის თქმაში დიდს მონაწილეობას დებულა ჩვენი სახე კერძოთ და მთელი ჩვენი აკებულა ყოველივე მისის გარკვეულის ასოებით საზოგადოდ. ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს.

ადამიანის შემოქმედებითი ძალა ან ჭქმნა (творчество) ორ გვარად იყოფება: ერთი სიმელოური, მეორე რემანტიული ან მსატრობითი ჭქმნა (худож. твор.) კერძოთ კი სიმელოიკა იყოფება სამად: გარკვეული სახეობის სიმელოიკა, სიტყვიერი სიმელოიკა და სიმელოიკა ტანით მოძრაობისა და მასთანავე მიმიკურის ნიშნების სიმელოიკა—ჩვენთვის საჭიროა ეს უკანასკნელი.

მიმიკური სიმელოიკა—ესე იგი მიმიკა, ან როგორც ამბობენ, ბუნებითი ენა,—იმში მდგომარეობს, რომ სხვა და სხვა ტანის მიმოძრაობით ესე იგი მიმიკით სულის და გულის მდგომარეობა გვიჩვენებს, შინაგანი მიმოძრაობა წარმოგვიდგინებს. მიმიკა ჩვენ ზირ-და-ზირ ბუნებითვე ვკვძლევს. დავიბადებით თუ არა, მაშინათვე მიმიკურის ნიშნებით ჩვენს მშობლებს ჩვენ სურვილს და წადილს ვაკებინებთ და ამიტომაც მიმიკა ყველგან, გაურჩევლად ვკარ-ტომობისა და დროისა, როგორც ბავშვობისათვის, აგრეთვე დიდებისათვის ადვილი გასაგებია—კადერს ამიტომ უწოდებს მიმიკას ბუნებითი ენა. მაგალითად—თავის დაკვრა, ძირს დასხრა ნიშნავს ყაბულს, თანხმობას, როგორც თავის გაჭქევა—უარს:

მიმიკური მოძრაობა წარმოადგება ან სასიამოვნო ან უსიამოვნო, ან შინაგანის, ან გარეგანის გომბობებისაგან. მიმიკური სიუსხვე, სილამაზე და მრავალ-გვარობა დამოკიდებულია ადამიანის აღზრდა-განათლებულად მიმიკა, გამომსახველი ადამიანის სურვილისა, თან-და-თან ინსტინქტიურ ნიშნებად უხდება და ბოლოს ჩვეულებათაც ვადიქტებს სოლემ.

მიხერა-მიხერა და სხვა მიმიკური მიმოძრაობანი დამოკიდებულინი არიან ვაცის უფლებებისაგან. ჩვენ შევკამლიან ათას ნაირი სახე, ფორმა და გამხსატულობა მიესცეთ ჩვენს სახეს, ტანს, სოლო ჩვენს ნებაში არ არის და არც შეგვიძლიან შევცვალოთ ის ნიშანი, ის მიმიკა, რომელიც ბუნებისაგან უკვე მოცემული გვაქს და თვისი საკუთარი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად: მწუხარების მიმიკა ყოველთვის მწუხარებას ნიშნავს და სიხარულის კი—სიხარულს.

მიმიკის სამელობულო, მისი ადგილი განსაკუთრებით არის ზირი-სახე, მომეტებულით თვალბთან, შეხლთან, წარბებთან და ტუჩებთან, შემდეგ ხელები და ფეხები. არ არის არც ერთი ისეთი სულის ან გულის მოძრაობა, რომელიც ან ხმაზედ, ან სახეზედ, ან ტანზედ არ

ქართული

გამოისახოს. ზირი-სახის მიმიკა დამოკიდებულია იმ ძარღვებზე და ნერვებზე, რომელნიც აერთებენ თვალს, ტუჩს და შუბლს—და ამასთანავე სისხლის მიმოძრაობით ფარსა უცვლიან სახეს. ყველა ხსენებული მიმიკის აჩრდები ყოველი თვითყოფილად და ყველანი ერთად ან ჩვეულის ნებისამებრ, ან შინაგანის მდგომარეობის და-გვარად მოძრაობენ.

მიმიკა წინ მიუძღვის სიტყვას და თან უფრო აზროვნებს მას. უმიმიკოთ სიტყვა აზრს და აზრი მნიშვნელობას ისე მოკლებულია, როგორც უბრალო გამოხმობა და ამიტომაც სასცენო ხელოვნებაში, აქტიორის შრომაში მიმიკას უმთავრესი ადგილი უჭირავს, როგორც ხმას და დიქციას. მართლაც, მიმიკური მიმოძრაობა ყველა კაცს აქვს და აქტიორს მით უფრო უნდა ჰქონდეს, მაგრამ სასცენო მიმიკას ისეთივე დაკვირვება და შესწავლა უნდა, როგორც საზოგადოთ სხვა უსაჭიროეს სასცენო წესებს;

მიმიკა, ასე რომ ვსთქვათ, არის ჰაერში დახატული სურათი.

როდესაც კაცი გაფიქრებულია ან რთიმე აღეგუებული, სახესე და მინათვე ცვლილება დაეცეობა. სწრაფი, აჩქარებული წინაღობა, აღმოფრთხილი ხელების შლა, წარბების შეკუმშვნა, სიცილი, ჭკითანი, ხანხარი და სხვა მავისთანა მოკლენიანი ეგუთნიან მიმიკას. როგორც წინეთ ვსთქვით, არც ერთი მცირე ადამიანის მღელვარება ისე არ გაივლის, რომ არ გამოისახოს მიმიკურად ესე იგი სხვა და სხვა ცვლილებით სახესე, სხვა და სხვა ნიშნებით ტანზედ.

გარდა ამისა, ყოველს ზირს თავისი ზირიანი ული—სუბიექტიური მიმიკური ნიშნებიც აქვს, რომელნიც მონიანი ან მის სიარულში, ხელების შლაში, მიხერამოხერაში, მხრების აწევა-დაწევაში და სხვაში; ერთის სიტყვით, რაც შეადგენს სასიაროთ, განსაკუთრებით თავისებულ კერძო ზირისას—და რადგან სასცენო ხელოვნება აქტიორისაგან ხასიათების და ტიპების წარმოდგენას თხოულობს და რადგან ყოველს ხასიათს და ტიპს თავისი ზირიანი ული—განსაკუთრებით მიმიკა აქვს, ამიტომაც აქტიორს დიდი სიფრთხილე და დაფიქრება ჰქონებენ მიმიკის ხმარებაში, მეტადრე თუ იგი სხვა და სხვა როლებს თამაშობს ხოლმე.

აქ უადგილო არ იქნება უკვდავის შექსპირის კენი-ალურ „ჰამლეტიდამ“ მოკვირანოთ ის დარბევა, რომელსაც ჰამლეტი აქტიორებს აძლევს: „მიმიკა და სიტყვა ყოველთვის ერთ-მეორეს უნდა ეთანხმებოდეს. მეტად ნუ დაიგრინებით, მეტად ხელებით ნუ ჰპობთ ჰაერსა, ყველაფერი ზომიერად იხმარეთ,

მიხერა-მოხერა, მიმიკა და ხმა, რომ წარმოიქმნება მობით ჯეროვანი შთაბეჭდილება მოახდინოთ მაყურებლებზედ. ოჰ! მე ბრავები მახრობენ, როდესაც რომელიმე ახმახი ნაფლეთ-ნაფლეთად ჰგლეჯავს წმინდა გრძობათა და ამ რიგათ სტანჯავს მაყურებლის მოთმინებას; მერწმუნეთ, რომ მაგისთანა აქტიორს დიდის სიამოვნებით ჯოხს გადავამტერებდი!“

ეგ საკულისხმო ჰამლეტის სიტყვები ნათლად გვიმტკიცებენ რადენათ მავნებელია ჯეროვანის და ხელოვნურის თამაშობისათვის, მიმიკის უცვლიანობა, უადგილო მიხერა-მოხერა, უშირე გადაჭარბება.

ბევრნი აქტიორთა შორის იმ აზრისანი არიან, ვითამ მიმიკის შესწავლა სრულებით საჭირო არ არის, რადგან წარმოდგენის დროს მიმიკაც ჩვენსა უნებურად როლის შესაფერად გვეძლევა. ამ სიტყვებში რდნუ სიმართლე არის. მართლაც, თუ აქტიორი გამსჭვალულია როლით—ესე იგი გრძობს თამაშობის დროს ყოველს თავის სიტყვას, მასში შესაძლებელია გრძობის და მდგომარეობის შესაფერად სახემაც მრავალი ცვლილება მიიღოს ხოლმე; მაგრამ ვინ დაგვარწმუნებს, რომ აქტიორი ფარდის ახდისთანავე უკანასკნელ მოქმედებამდინ, რასაც კი იტყვის, ყველაფერს იგრძობს? ეგ ტყუილი იმედია და ცოტა არ იყოს ჭკუის სისუსტეც. მართლაც, როდესი ხანდისხან არის ისეთი ადგილები, სადაც აქტიორი სრულს, დაწვევებში ესე იგი, „როდესი შედის“, მაგალითად, პატრიარქს ადგილებში—ეს ჩვენ გუჯერა,—მაგრამ ჯერ არც ერთი როლი არ ყოფილა ისეთი, რომელიც თავიდან ბოლომდე პატრიარქი ყოფილიყოს და მასთანადავე გერც ის ცრუ ტეორია მართლდება, რომ მიმიკა თავის თავად მოელო, . . . თავის-თავად არაფერი არ ხდება ჭკუისაზედ; ყველგან საჭიროა შრომა, მენადინება და მეტადრე სასცენო ხელოვნებაში, სადაც ყოველს ნაბიჯს, ყოველს სიტყვას თავის განსაზღვრული მნიშვნელობა და განსაკუთრებით აზრი აქვს.

როგორც წინადავე ვსთქვით, მიმიკური მიმოძრაობა ყოველს ადამიანს აქვს, მაგრამ აქტიორს სრულებით სხვა ნაირი, ასე რომ ვსთქვათ, მიმიკური ნიჭი უჭირვება. ზოგ კაცს სახესე სრულებით ვერ შეატყობ მის გულის მდგომარეობას—ეს აიხსნება მხოლოთს მიმიკურის მიმოძრაობის უქონლობით, ან სუსტის. სახის ეკსპრესიით, ზოგი კი მომეტებულია არის დაჯილდოებული ბუნებისაგან; ესეთიც არის აქტიორთა შორის.—ერთს უხვი მიმიკური საშუალება აქვს, მეორე კი მაგას სრულებით მოკლებულია. ასეთი ბუნების სიძუნძე დიდს ნაკლს შე-



საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

ადგენს აქტიონისათვის და უფრო მეტი რა თქმა უნდა შრომა, რა-კეცი მეცადინეობა ჰქმნებოდა იმ აქტიონებს, რამელთაც მიმიგუნი მიმომჩანდა სუსტად აქვთ.

ვალიკო—ია

(ვაგრძელება იქნება.)

ლექსები პრ. შიო

მძინავს... შავი, ბნელი სუსხიანი ზამთრის დამა. თოვლ-შხაპი და სიცივე ერთად შეტ-ქმულღებსავით დედა-მიწაზედ ჯავრსა იურთან... მივდივარ მარტოდ, მივდივარ და ბოლო ადარა სჩანს. სიბნელე, გარშემო დაბურული ტყე, ოდრო-ჩოდროიანი გზა, მიუწებულ შტოთა უეცრივი შრიალი, ხან მაშინებენ, ხან მაფნიზ-ღებენ. ერთობ კი ვშიშობ, თუმცა გონება, ეკ უოველსფერი და უცხრომელი, შეუდრკელი მო-ძღვარი ადამიანისა, არ კრთება, მაგრამ გული საცოდავად ხტის თავის ბუდეში. გული გონებას არ ემონება, გონება გულს და ეს დისსონანსი, ეს უთანხმოება უფრო მაშინებს, უფრო თავ-ბრუს მასხამს.

მივალ და მივალ!... მივალ. დადღილს დაქანცულს ფეხები არ მემორჩილება. ტანი ისე დამიძიმდა, თითქოს მთელი უზარ-მაზარი მთა მხრებს მაწევსო. ღამის წავიქცე... სიცივე, თოვლი, საზარომუედროება და სიბნელე რიგ-რიგათ მტან-ჯამენ. ბოლო კი არსიდ სჩანს.

აჰა უეცრად საიდდამაც სინათლემ იბეჭუტა. აი, აი ციციანათელასავით ხან გამოჩნდება, ხან მიიღვეს... მთლად გარდავიბანე, ძალ-ღონე კვლავ მომეცა, სისხლი და ძარღვი მედრავათ სცემენ. მივალ სინათლისაკენ, მივალ და ხედებს ვუპოტირებ. ენლა უოველივე დამავიწყდა: ვხე-დავ ბოლოს, იმედი ისევ გამიცხოველდა... გონება ათას ნაირ სურათებს მინატავს: ავერ მთელი ჯალაბობა კერას შემომსხდარან, დღიურ შრომისავან დადღილ-დაქანცულნი, ისინი სინარულით ვანშამს შეექცვიან, ჰხარობენ,—

მეც მიმიღეს, გვერდით მომისვეს... კურთხეულიმეც იყავით!..

არე-მარე კი თან-და-თან უფრო ბნელდება. მაგრამ მე მაინც მივალ; არ ვდრკები, სასაა მი-ვადწევ სინათლეს... დავიდალე, მეტი აღარ შე-მიძლიან... კიდევ, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და მოვისვენებ... მაგრამ უეცრივ სინათლე განქრა... დიხს, განქრა სინათლე, განქრა იმედი! გრძო-ბათ დამტოვეს, თვალთ სინათლე დამეღია... გული შემომეყარა—გონებამ მოძრაობა მოსპო!.. გამომეღვიძა.—

დიდი ხანია რაც ამ დაბურულ, შავ სუდა-რით მოსილ ტყეში დავდივარ... ვეძიებ გასა-ვალს, ხელს ვუშვერ სინათლეს, მაგრამ ამაოა უოველივე. თითქო სიზმარში ვარ, შორეულ გან-თიადს ვხედავ, მაგრამ უეცრივ ხელთ გამეც-ღება და ისევ... იეღვებს სინათლე და მე ისევ მივალ და მივალ..

საიდ?

ესეა კაციც. თუ ოდნავ მაინც იმედის შუქი მოხვედრია მას, იგი ხარობს, მაგრამ განქრა თუ არა იმედი, ჰქრება ადამიანიც!..

დედის-პირში

მოთხრობანი

არამი ლუკა კაცს არ ზმარგება.

(მოთხრობა თარგმნილი რუსულიდან)

20 მარტს 1872 წ. ბნელი და ქარიშხლიანი ღამე იყო; შხაპუნა წვიმა და თოვლ-ჰყავი ერთმანეთს არ აცლიდნენ. შავი ღრუბლებით შემოსილი ცა გვეგონებოდათ კოკებიდამ უშვებსო. დინაბურლის საპრობილის ქუჩებზე ნიაღვარი მოდიოდა. შველა სულდგმული ღრმა ძილში იყო გართული, მარტო ცინის ვიწრო ფანჯრებიდამ გამობეჭუტავდა სინათლე და იქილამვე მოისმოდა ფეხის ხმა საპატიმროს მცველთა, რომელნიც სწყველიდნენ თავიანთ მიმე სამსახურს, გააფთრებულს სტიქიას და საბრალო პატიმართაც, რომელთათვისაც მათ უნდა ედარაჯნათ ამ ავედრიანს ღამეში.

რკინის ჩარჩოებით შეკედილს საპატიმროს ფანჯარაში, ამ უღროვო-დროს მაინც კიდეც მოჩანდა სინათლე. სამკურნალოს ოთახში საწერს სტოლთან იჯდა ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, ექიმის ტანისამოსით. ეს ყმაწვილი კაცი იქამდის ჩაჰკვირვებოდა წიგნს, იქამდის გაეტაცნა მის კითხვას, რომ სრულიად არა ესმოდა-რა: არც ქარიშხლის მოთქმულმუილი, არც წვიმის ფანჯარაზედ ბრახა-ბრუხი; იმასაც კი ვერ ამჩნევდა; რომ მის ლამაზს ნაეთი შემოჰკლებოდა და ჩაქრობას აპირებდა.

შეცბ იგი სკამიდან წამოხტა, დალილს თვალებზედ ხელი მოისვა და წიგნის შინაარსზედ დაიწყო ხმა-მალლივ საუბარი:

— ღიახ, გათავებულა! სრული ჰემმარიტეზა... სიღარიბეზედ უარესი ქვეყანაზედ არა მოიპოვება რა!.. „სიღარიბე სათაკილო როდიაო“ — ამბობს ანდაზა, მაგრამ ანდაზა სტყუის, სცდება... მთელი ჩემი სიყმაწვილე, სიჭაბუკის ძალ-ლონე სწავლას შევალე და მაინც, თუ ერთი რამ სასწაულ მოქმედება არ მოხდა, მუდამ ამ შეჩვენებულს საპყრობილის კედლებს უნდა შეესტკერო, აქ უნდა დავალამო ჩემი ღლენი. ჩემსა და ტუსალში მარტოის განსხვავებაა, რომ მას ბორკილი უყრია და მე არა, თორემ სხვაფრივ—მეტი არაფერით გავირჩევით.

ახალგაზდა ექიმს საუბარი გააწყვეტინა სამკურნალოს მებჭეს შემოსვლამ, რომელმაც მოახსენა, რომ მე-7-დე ნომერი მოკვდაო. მეშიდე ნომერი!.. სხვა წოდება, სხვა სახელი აღარ არსებობს იმ უბედურთათვის, რომელთაც ხვედრი ამ საშინელს „მოსარჯულეებელს“ საპატიმროში შემოიტყუებდა. ახლად მოსულს რომელიმე ნუმერს ქვეშ წასწერდნენ ხოლმე პატიმართ დავთარში, და იმავე ნომერს საავადმყოფოში შესცვლიდნენ ხოლმე თეთრის ცარცის ჯვართით, როდესაც ტანჯულს „მხსნელი“ სიკვდილი ეწვეოდა და იხსნიდა მძაფრის წამებისაგან.

ექიმს ნებლობინს, ასე ეძახოდნენ ამ ყმაწვილ კაცს, არ გაუოცდა ეს ჩვეულებრივი სამკურნალოს ახალი ამბავი, მხოლოდ ოდნავ უსიამოვნობა დაეტყო მის მშვენიერს სახეს იმის გამო, რომ მებჭეს შემოსვლამ ხელი შეუშალა მის ოცნებას და ფილოსოფიურს მსჯელობას. ნებლობინმა საჩქაროდ გაანელა ლამაზა, გაჰყვა მსიფაგს უკან და შევიდა საავად-მყოფოს ფართო ოთახში, სადაც რამდენსამე რიგზე პატიმართ საწოლი კრავატები იდგა. მიღწევა თუ არა იმ კრავატს, რაზედაც მე 7-დე ნომერი იყო, ნებლობინი შეჩერდა, გადასწევა სულარას და მიცვალელების შემოიღეს სახეს ჩაატკერდა. სიბრა-

ლულმა მთლად შეიპყრა იგი. ვინ იცის, ვინ იცის, ბედ-კრული მეშიდე ნომერი ოდესმე კეთილი და პატიოსანი კაცი იყო და დამნაშავედ მხოლოდ განწირულებამ მიიყვანა სასოწარკვეთილებამდე, ბიწირებამდე.

— საანატომო ზალაში გაიტათ, უბრძანა ერთ-ბაშათ ნებლობინმა. მე მსურს ესლავე შეუდგე მაგის გაჭრას და დაწვრილებით გამოვიკვლიო ავადმყოფობის მიზეზი.

ნებლობინმა თითონაც არ იცოდა რათ მოუნდა ან რა საჭირო იყო ამ ტუსალის გაჭრა, რომელმაც სამი კვირა იავადა და ულონობისაგან მოკვდა, — მერე ისიც ეხლა, ღამის ორ საათზე!.. მაგრამ ისა ჰგრძნობდა ამ ანატომიურ გამოკვლევის საჭიროებას, ჰგრძნობდა, რომ მხოლოდ ამ სახით დამშვიდებდა თავის მეტის-მეტად შერყეულს ნერვებს!

ბრძანებისა-მებრ, მსახურებმა გაიტანეს მკვდარი, დადეს სტოლზე და თითონ უკან დაბრუნდნენ. ღარჩნენ მარტო ექიმი და მიცვალეული.

№ 7 ანუ ივანე ბაზალიჩუკს ამ ათის წლის წინათ სასამართლომ გადაუწყვიტა სასჯელად სამუდამო მძიმე მუშაობა დინაბურლის საპატიმროში მკვლელობისა და ცარცის გამო. ამ ათის წლის განმავლობაში მან, პატიმრობით მობეზრებულმა, ბარე ოც-ჯერაც დააპირა გაქცევა, მაგრამ ამაოდ: მაშინათვე იჭერდნენ და ისეც საშინელს სასჯელს უფრო უმძიმებდნენ ამ გამბედავის ცდისათვის. უკანასკნელად სამის თვის წინეთსიკვდილისა, კიდეც სცადა გაქცევა, მაგრამ დაიჭირეს და ოც-და-ათ გირვანქიანის ბორკილით შეუკედეს ფეხები. მათფრებულმა ტუსალმა მეტი ვეღარ შესძლო — ლოგინათ ჩაჭარდა.

საანატომო ზალა საზარელი რამ იყო ღამით: პატარა ღამა ოდნავ ანათებდა უზარ-მაზარს ოთახს; თეთრს მარმარილოს სტოლებზედ მოჩანდა შავად გამხმარი სისხლის წვეთები. შანჯარასთან გასაშრობად ეკიდა გაყვითლებული კაცის ჩონჩხი; ამ ჩონჩხს, რაკი ქარი შემოუბერავდა კედელს ახლიდა და საზარელი ხრიალი გაჰქონდა.

თეთ ნებლობინიც კი, რომელიც შეჩვეული იყო ამ არა-სასიამოვნო საანატომო ზალის მოწყობილებას, უნებლიეთ შიშმა შეიპყრო: ტანში ყრუანტელმა დაუარა, კირის ოფლი დააყარა, მაგრამ დასძლივა თავის მღელვარებას, ბუდიდამ დანა ამოიღო და მკვდარს მიუახლოვდა.

საცოდავის უზომო სიგამხდრე და დაკოდილი ფეხები ნათლად წარმოუდგენდნენ თვალწინ კაცსი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტანჯვას, რაც თავის სიცოცხლეში მას გადაჰხედოდა.

ნეზლობინმა ხელიშეახო, ის იყო გულის სიგრძეზედ ჩაქრას უპირებდა, რომ მკვდარი წამოიწივა და სისხლ მორეულის თვალებით მიაჩერდა თავზარ დაცემულს დოქტორს.

მეშვიდე ნომერს ეგონა, რომ მისი გაცოცხლება გონებას შეურყევდა ექიმს, საანატომიო სტოლიდამ ძირს გადმოეშო და გაღებულს ფანჯარას ეცა, მაგრამ ტყუილად: აქაც უმტყუნა ბედმა. თავისი განზრახვა, რომლისათვისაც ზეზეურად ჩამოხმა, თავი მოიმკვდნურა, ამდენი სასოდწარკვეთილება და იმედი გამოსცადა, არ აუხდა. ნეზლობინმა გული შეიმაგრა, გამოუდგა მას და სწვდა კისერში. მართი იატაკისაკენ ეწეოდა, მეორე—ფანჯრისაკენ. სიცოცხლისა და თავისუფლების წყურვილმა დაქანცულს პატიმარს ლომის სიმხნევე მიანიჭა: დაუწყო ახალგაზდა ექიმს ბრძოლა, ჯერ არაფერში უფარდებოდა, და სცდილობდა როგორმე თავის მხსნელ ფანჯარამდის მიეღწივა. მაგრამ განა შეიძლებოდა, ეს არა თანასწორ ღონის ბრძოლა დიდს ხანს გარძელებულიყო? რამდენიმე წამის შემდეგ ტუსალი წაბარბაცდა და წაიქცა. ნეზლობინი მას ზევიდამ დააწვა, არ უშვებდა.

— ტყუილად სცდილობ, შენ მე ვერ წამიხვალ, საზიზლარო! უთხრა ნეზლობინმა დაქანცულის ხმით. ხომ იცი, ერთი რომ შევეყირო, მაშინათვე მცველები შემოირბენენ. სჯობს მითხრა: რამ მოგაფიქრებინა გაქცევა, რა საქირთა შენთვის განთავისუფლება, რისთვის გინდა იგი? თუ გულ-ახსნით მიაშობ—მე უკანვე დაგაბრუნებ. საავად-მყოფოში და ვუბრძანებ არა ვითარი სასჯელი არ მოგცენ...

— ლეთის გულისთვის, ექიმო, გამიშვით გავიქცე... თქვენ ხომ ახალგაზდა და კეთილი კაცი ხართ, შეიბრალეთ ჩემი სიბერე ამდენის ხნის წამება... მაგიერს სიკეთეს ლმერთი გადაგიხდის...

— ხომ არ გაგიჟდი! ნუ თუ მართლა გგონია, რომ მე შენ გაქცევის ნებას მოგცემ?

— ცოდვა-მადლი იქონიეთ, ექიმო,—ჰკენესოდა ბაზალჩუკი და ათას ნაირათ იკლანკებოდა მის ქვეშ. მოიგონეთ რამდენი ტანჯვა გამომივილია ამ ათის წლის პატიმრობაში... ხელს ნუ უშლით ჩემს გაპარვას, რომლისათვისაც მე ამდენი ხანი ვემზადე, ღონე და ილაჯი გავიწყვიტე, ოთხი-ხუთი დღეობით ლუქმა დავიკეთე... აბა შემომხედეთ—ცაჩაქვ კანში ვახვევივარ!. ბაფიცებთ ყოველივეს, რაც-კი ძვირფასი მოგვპოვებათ—გამიშვით, დამისხენით ამ ჯოჯოხეთილდამ!..

ნეზლობინი დაფიქრდა, მას შეებრალა ეს ცოცხალი მკვდარი და ბოლოს უფრო რბილად ჰკითხა:

— აბა ერთი მითხარ: რას აქნევ განთავისუფლებას, შენ, მოხუცებული, უძლოური, ღარიბი?..

— თქვენა მკითხამთ—განთავისუფლებას რას აქნევო? რო იკოდეთ რისთვისა მწყურის იგი—მაგ კითხვას არ მომცემდით!..

— თუნდა კიდევ გაჰქცეულიყავ, დაჰმალოდი მთავრობას, მაინც კიდევ ხუთ-ექვს დღესაც ვერ ბასძღებდი სიმშლილი ბოლოს მოგიღებდა.

— მე მომიღებდა სიმშლილი ბოლოს!—სცდებით, ექიმო, მე თქვენზედ მდიდარი ვარ.

— ჩემზედ მდიდარი! შენ ვინ გითხრა, რომ მე მდიდარი არა ვარ?—ბაჯაერებითა ჰკითხა ექიმმა.

— ნამდვილად არ ვიცი—გაქვსთ თუ არა შეძლება ან სულ რამდენია ნაღდი—მე მაინც ვიმეორებ, რომ თქვენზედ შეძლებული ვარ, განაგრძო ბაზალჩუკმა.

— ძარგი, გეყოფა! მიჭარვას თავი დაახუბე, უთხრა ნეზლობინმა. შენ როგორც გემჩნევა, გინდა თაბრუ დამასხა შენის ზღაპრულის მოთხრობით, გამატუტუცო... შემისყიდო.—იმისთანა სულელიც ნუ გგონივარ, ეგენი დაგიჯერო!

— ლმერთს გაძღვეთ თავდებათ, რომ მდიდარი ვარ, მეტის მეტად მდიდარი—საჩქაროდ წარმოსთქვა ბაზალჩუკმა და შეამჩნია ნეზლობინს ამ სიტყვებისზედ გავლენა. ბამიშვით და ჩემ სიდიდრეს შუაზედ გაგინაწილებთ.

— ბაჩუმი, შე საძაგელო! დაუყვირა ნეზლობინმა. ადექ, გასწი საავად-მყოფოში!.. შენ არ გეუბნებიან!..

— ექიმო, ძლივს ამოიხრინწიალა მეშვიდე ნომერმა, ნახევარი მილიონი მაქვს.

ნეზლობინის ხელი რალაცა ძალამ მოაშორა ტუსალის კისერს, იგი გაეშვა და თანაც უნებლიეთ გაიმეორა:

— ნახევარი მილიონი! და იმავ წამს გონს მოვიდა და შეჰყვირა: რას მიშერები, შე წყეულო! მასხარად მიგდებ, თუ რა ამბავია? წადი თორემ ამ წამსვე ყარაულებს დაუძახებ!..

— თუ ჯვარ-ცმული მარისტე გახსოვთ—ცოტას ხანს კიდევ მომისმინეთ, შევედრა ბაზალჩუკი. 1862 წ., პოლშის აჯანყების დროს, ერთმა მდიდარმა გრაფმა თავი დანება მამა-პაპეულის მამულს, რომელიც დიდაბურლიდამ ოცს ვერსზე მდებარეობს, შეკრიბა ყოყოველივე სიმდიდრე და გაიქცა. მე და ჩემმა ახვანავმა ეს შევიტყეთ, რადგანაც იმ გრაფის მოსამსახურენი

ხალხური პოეზია

ვიყავით, გავვიდეთ უკან, დავწინაურდით, ჩაუსაფრ-
დით გზაში და მოვეკალით. ზრათის სიკვდილის შემ-
დეგ სამს დღესაც არ გაუვლია, ჩვენ დაგვიკირეს.
მაგრამ ჩვენ მაინც მოვასწართ და ნაცარცი
ტყეში დავმარხეთ, ე. ი. ღვინის მარჯვენა ნაპირას,
სასაფლაოზედ, „წითელს ეკლესიას“ რომ ეძახიან,
იმის ტრაპეზის პირდაპირ, ორ ნაბიჯზედ მოშორე-
ბით. ჩემმა ამხანაგმა ორი წელიწადია რაც თქვენი
ჭირი წაიღო ამავე საპყრობილეში და ეხლა მე...
მარტო მე შეკუთენის ის სიმდიდრე.

— სტყუი! წასცა ნეზლობინს.

— მაცხოვარს გეფიცებით, რომ რაც გითხარით
ნამდვილი ჭეშმარიტებაა! შეჭკიელა ბაზალჩუკ-
მა და ნეზლობინია ფეხთით დაეშვა.

— საზიზლარო, სულ-მდაბალო მკვლელო! უყ-
ვიროდა მას ერთს ადგილას გაშეშებული ნეზლობინი.

— შექიმო, ოღონდ გამიშეით და მე არას შე-
გეცილებით, ნახევარსავე მილლიონს თქვენ მოგ-
ცემთ!

— სულ რო მე მომცე, შენ რაღა დაგრჩება?
მაშინ რაღა საჭირო იქნება შენთვის თავისუფლება?

— რაც დარჩება—ჩემთვის ისიც საკმარისია;
ფულს გარდა ზრათს ჩემოდანში ერთი ყუთიც ვუბო-
ვნოთ, თვალ-მარგალიტითა და ძვირფასის ნივთებით
სავსე.

ნეზლობინმა თავზედ ხელი იტაცა, გეგონებო-
დათ საზარელი აზრი ამ გვარად უნდა მოიშო-
როს თავიდან და სახეზედაც უზომო ტანჯვა ეხატე-
ბოდა.

— არა, არა არა! დაჩუმიდი, შენა სტყუი...
ნულარას მეტყევი, არაფრის გაგონება არ მინდა!..

— შექიმო, ექიმო!

ნეზლობინი მას ყურს არ უგდებდა, სირბილით
გამოქანდა, ეცა გასავალ კარებს და საშინელის ხმით
დაუწყო მცველებს ძახილი. ორი-სამის წამის შემდეგ
მოახლოვდა ჩქარი ფეხის ხმა და იარაღის ჩხარა-
ჩხური...

შართოთ გავლო საანატომიო ზალის კარები,
მოისმა თოფის ხმა და ამავე დროს ვილაცის სიკო-
ცხლე მოკლებული გვამი მძიმეთ დაეშვა ხის იატაკ-
ზე... ერთმა მცველთაგანმა შემოიბრინა თუ არა.
დაინახა, რომ ფანჯარაზედ ვილაცა მიბობლამს, გაუ-
წოდა თოფი, ნიშანში ამოიღო და ესროლა... ტყვია
სწორეთ ბეჭში მოარტყა ბაზალჩუკს, რომელმაც მო-
კლე დროს ექიმის მოშორებისა მოასწრო ფანჯარა-
მდის მიბობლება.

(შემდეგი იქნება.)

კნასი

* * დაფანტულის ფეტვის მარცვალს,
ვერვინ აკრეფს წიწილის მეტი,
მე და შენი სიყვარულსა
ვერვინ გაჭუობს სიკვდილის მეტი.

* * ვაი გოგოვ, დარიაო,
შენგნით გუელი მკვდარიაო,
მე და შენი სიყვარული
დედი შენის ბრალიაო.

* * იორი ადიდებულა,
მოუგდია ხერგებია;
გოგოვ, შენ რომ სიტუვა მითხარ,
დამანტვრივა ფერდებია.

* * ღამაზო შენსა ხვევნასა,
დილი ამიწყუდა პერანგსა,
იპოვნე, გამომიგზავნე
შენი ძმებისა ღვნენასა.

(შეკრებილი რ. მირზაანელისაგან)

* * დადამდა ჩიტი დაღონდა,
გათენდა გაინარაო,
მეგრელს ცხენი მოეწონა,
მაშინვე მოიპარაო!

* * ამდენი ღაპარაკითა
ენას აღარ აქვს სისველე,—
ფვთის-მშობელო, გეხვეწები,
წმინდა გიორგი, მიშვედე!

(შეკრებილი პლატონ ჩინჩალოძისაგან)

* * ვაი დედის ჩემის დმერთსა,
ხმა აგვირია ხველამა,
ერთმანეთი შეგვაძულა—
სხვა-და-სხვა მტერის ენამა;
ერთი წიწილი გავვანდა,
ისიც მოგვტაცა ძერამა!...

(შეკრებილი სოსიკოსაგან)



ქართული
ბიბლიოთეკა

ყ ა რ ა ტ ი

(თარგმანი)

მრთს საბძელზედ, ჰაგბიულის მღებბარეობაში ზელანდიაში, თავის ბუდეზედ იდგა შარყატი დი ჩაფიქრებული უყრებდა თავის მეგობარს, რომელიც სამის ბარტყით ჰაერში სხვა-და-სხვა რიგათა ჰკრავდნენ კამარასა, აჩვევდა შეილებს უფრო ხანგრძლივ ფრენასა. მხოლოდ საბძელის მახლობლათ, ახალ-გაზდა ოცდა ორი წლის მემამულე ჰერდ ბროტე, პოვოზკაზედ დაყრდნობილი, უყთრებდა ხან ჩუმი შარყატ-მამას ხან იმის ცოლსა და ბარტყებსა. „თქვენ ბედნიერნი ხართ, გაიფიქრა ჰერდმა;—ნეტავ შესაძლებელი იყოს თქვენთან ერთად გაფრენა ჩრდილოეთისაკენ! მოხუცებული შარყატი და იმისი კეთილი მეუღლე ალბათ ისე კარგათ იცნობენ ხეოპსის უზარმაზარ შენობას—პირამიდს და მემონანის ობელისკსა, როგორც მე ჩვენს სოფლის ძველ სამრეკლოსა; შესაძლებელია განა ცხოვრება ამაზედ უფრო პოეტური იყოს, როგორც ეს მოგზაურობა? აი ნამდვილი ბედნიერნი, ბრძენნი ბრძენთაგანნი; დღესაც სცხოვრობენ სამხრეთის მინდვრებზედ, რამდენიმე დღის შემდეგ გამგზავრდებიან ნილოსისაკენ, ასე მგონია, რომ ამათ მთელს თავიანთ სიცოცხლეში არა ჰსურთ ნახვა სიკვდილის სურათისა, მაგალითად ზამთრის სურათი, ეს სიკვდილის ემბლემა. მის შეუძლიან დასახელოს ხალხი, ჩამოთვალოს ქალები, რომელნიც უნახავს ამ მოხუცებულ შარყატს... როგორც ეხლა; გაოცებული, შურის თვლით შეეყურებ მე მას, სწორეთ ამავე რიგათ რამდენიმე დღის შემდეგ დაუწყებს ყურებას რომელიმე ასული ჭელლახისა, ბალის ხეივანიდამ დაუწყებს ცქერას თვით ოდილსკა და გადისდის თავის ჩაღრს, რომ უფრო უკეთ გაშინჯოს სამხრეთის სტუმარი, მაგრამ ეს იმისი უკანანკნელი ღონის-ძიება რასაკურველია ამაოთ ჩაუფლის, რადგანაც შარყატი როგორც კეთილი ქმარი და მამა მრავალ რიცხოვანის სახლობისა, მსწრაფლ გაექანება საზრდოს საშოვნელათ უფრო თბილ ქვეყებში! ახალგაზდა კაცს გაელიმა ამ ფიქრებზედა და ხელახლად შეხედა შარყატსა.—მოხუცებულო გზავრო, უთხრა იმან, მე ძრეილა მსურს მოგაბა ფეხზედ სასიყვარულო წერილი; შეიძლება შენა გქონდეს პლატონიური დამოკიდებულება ნილოსის ოდალისკთანა, და გარემის მშვენიერება, რა დაინახავს წერილს, უბძანებს შენს დაჭერასა და გულის ძვერით შეიტყობს, რომ შორს სამხრეთში იმას ჰყავს უცნობი თაყვანის მცემელი.

ამ დროს ეზოში გამოიარა მუშამ.

— აქ მოდი; იენს, დაუყვირა ბატონმა, და როდესაც მსახური მიუახლოვდა ჰკითხა: იენს, შეგიძლიან დაიჭირო აგერა, ის მოხუცებული შარყატი მაგრამ ისე კი, რომ არაფერი აწერა?—აბა ბატონო, წაილულუნა მუშამ, მე ამას ვერ გავებდამ; ეს შარყატი ისე ხმარობს ნისკარტს, როგორც შუბსა; ამას წინეთ მაგას მოეწადინა ჩვენი ეზოს გაშინჯვა, ჩამოფრინდა ეზოში და შევიდა საბძელშია; ამ დროს თქვენ პაულს უნდოდა დაეჭირა მაგრამ, ისე ღონიერათ უკბინა მუხლში და ხელში, რომ პაული ღრიალით უკუ იქც.

მაშ საბძელშიაც შედის? ჰკითხა ჰერდმა დაროდესაც მუშამ დაარწმუნა, უბძანა როდესაც შარყატი შევა საბძელში, დაეკეტა კარები და შეეტყობინებინა მისთვის.

რამდენიმე დღის შემდეგ შარყატი ჰერდის ხელში იყო; ზედ ბადე გადაფარებულს, შარყატს ჰერდი აბამდა ფეხზედ პატარა ჯაჭვით მედალიონსა. მედალიონში ჩადებული იყო პატარა ქალაღი ინგლისურს და ფრანგულის ენით დაწერილი: „სამხრეთის ნაძვი მოკითხვას უძღვის ჩრდილოეთის ბზასა.“ ამის ქვეშ ჰერდმა მიაწერა თავისი სახელი, საცხოვრებლის ადგილის სახელი და რიცხვი; შარყატი ძრეილა ბრახდებოდა და საშინელად ჰკბენდა თავის დამპყრ მუშისა, მაგრამ მოშორდა თუ არა მუშა, შარყატმა მყისვე შეფრინდა საბძელზედა. იქ ცდილობდა ფეხიდან მოეშორებინა როგორმე მედალიონი, მაგრამ რადგანაც ვერ შესძლო მეორე და მესამე დღემდისინ შარყატი უკვე შეჩვიდა და მედალიონის ტარება აღარ ემოთირებოდა.

ატვისტოს დასასრულს შარყატი თავის ჯალაბობით თბილ მხრებში გაფრინდა.

— დაბრუნდება შარყატი ჰაგბიულში, თუ შემოგვიწყრება მისი მშვიდობიანობის დარღვევისათვის, ეკითხებოდა თავის თავს ჰერდი, ამ კითხვის პასუხი იმან მიიღო გაზაფხულზედ. მარტის მიწურულ ხანებში, ერთ დღილას, როდესაც ჰერდი თავის ოთახში ფანჯარასთან იდგა, დაინახა დაბრუნებული ელჩი სიყვარულისა, რომელიც სიამაყის გამომეტყველებით ათვალისწინებდა თავის ბუდესა, ჰერდმა წამოავლო ხელი ღურბენდს და ფრინველს ცქერა დაუწყო; სიამოვნების ხმა ამოჰსქდა ჰერდის გულიდგანა; მედალიონის მაგიერ შარყატს ფეხზედ უჩანდა მოგრძო, პატარა წითელი ქისა. ღიღის სიამოვნებით დაიჭერდა ეხლა ჰერდი შარყატს, მაგრამ ვაი თუ ამით დაფრთხო შარყატი და შემდეგ ამ გვარს წერილების წამ-

ღებ-მომტანს ვერაფრით—ვერ მიიკარებდა თავისთან. ამიტომაც ჰერდმა ორი თვე მეტი უცადა, ვიდრე უფრო მოხერხებულ დროს ჩაიგდებდა და მხოლოდ მაშინ ეღიბა პარყატის საბძელში შეტყუება. ამ ჯერათ ფრინველი ისე აღარა ცდილობდა თავის განთავისუფლებას, როგორც პირველ დროსა, იგი თითქოს მიხვდა, რომ არაფერს დაუშაგებდნენ და თუმცა ნისკარტით ყველას სცემდა, მაგრამ თავის გამოსახსნელათ კი არა, მხოლოდ ბაყაყების ჩასაყლაპავად რომელთაც პირში აძლევდა მუშა იენსი. მათ წამს ქისა მოჰხსნეს; ჰერდი შევიდა ოთახში, გახსნა ქისა და შიგ ნახა პატარა ქალაღლი ინგლისურის ენით ნაწერი: „სამსრეთის ნაძეს გუღათადი მოკითხვას ჩრდილოეთში შემოტანად ბზის შტოსაგან.“ და შემდეგ: ბენარესი, კუტნი—ბუნგაღიდი, 2 ახვრის 1875 წ., მაგრამ არავის სახელი კი არ იყო. მამ პარყატი აფრიკაში კი არა, მხოლოდ მდინარე განგის ნაპირებზედ ყოფილა და ოდოლისკა კი არა მიგებს პასუხს მოკითხვაზედ, არამედ ინგლისელი—ანუ როგორცა სჩანს, რადგანაც იგი იწოდებს თავს „ბზის შტოთა“—შოტლანდიელი ქალბატონი! ესწუხვარ, რომ იმათ არ გამოაცხადეს თავიანთ სახელი, გაიფიქრა ჰერდმა მწუხარებით,—მაგრამ არა უშავს-რა. ეს უფრო საინტერესოა!

პარყატმა შემოდგომაზედ ჰერდის მოკითხვა წაიღო, მხოლოდ გაზაფხულზედ ისევ მოუტანა პასუხი ბზის შტოსაგან, მაგრამ ამ ჯერათაც ჰერდმა მაინც ვერ გაიგო სახელი თავის მეგობრისა, მხოლოდ პატარა სახელმძღვანელო რუქის შემწევობით და თავის შესაფერ ლექსიკონით იმან აღმოაჩინა, რომ ძუტნი—ბუნგალი—ეს პატარა სოფელია ბენარესის მახლობლათ.

როდესაც პარყატმა, ვიდრე იგი წამღებ-მომტანის როლს ასრულებდა, ჰაგბიულში მესამედ მოფრენის დროს აღარ მოუტანა ჰერდს ქისა, იგი ძრიელ შესწუხდა, მაგრამ იმით ანუგეშებდა თავის თავსა, რომ უეჭველია ქისა გზაში დაკარგაო. ბზის შტოსთან მიწერ-მოწერის იმედი კიდევ ჰქონდა.

ამავე წელს კათათვეში ჰერდის სასახლის წინ გაგბიულში გაჩერდა დაქირავებული ეტლი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, მახლობელ ქალაქიდგან უნდა ყოფილიყო. მტლიდგან გამოვიდა შუახნის, ქალარა შერეული კაცი და შევიდა სასახლეში. ჰერდი უცნობის დანახვზედ, გამოეშურა მისაგებებლათ, შემდეგ ერთმანეთის მისაღმებისა მოხუცებულმა ჰკითხა ინგლისურს ენაზედ, აქეს პატივი თუ არა ჰერდ ბროტის ხილვისა, და როდესაც ეს დამტკიცებით

გაიგო, მაშინ მოხუცებულმა გაუწოდა ხელი და გაზდა კაცს და ღიმილით დაუწყო ლაპარაკი:

— თუმცა ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ კი ძველი ნაცნობები ვართ, ბატონო ბროტე, მე მოვდივარ ბენარესიდგან, მე ედვინ-მაკნარი ვარ, გადაყენებულ პალკოენიკი.—ბროტი გაოცებული უყურებდა მოხუცებულს; ეს ხომ არ არის ბზის შტო? გაიფიქრა ჰერდმა.

— თქვენ გაკვირვებული ხართ, ბატონო ბროტე, სიცილით უთხრა პოლკოენიკმა, თითქოს იცოდა ბროტეს აზრები, მაგრამ დამშვიდდით, მე ბზის შტო არ განლაგართ, თქვენგან ასე რომანტიულათ პატივცემული; მე დიდი გაჯაგრება მმართებს, რადგანაც თქვენ, ჩემთან უცნობმა, აგერა სამი წელიწადია მიწერ-მოწერა გამართეთ ჩემ ქალთანა; მაგრამ მე მსურს მოწყალე ვიყო, მით უფრო რომ მე თითონა ვარ დამნაშავე ამ გაუგებრობაში. სამი წლის წინათ მე თვითონ ვუბრძანე პარყატის დაჭერა, რომელიც ყოველ წლიე ჩემ სახლში მოფრინდებოდა ხოლმე, მაშინათვე მიეცეო ნება ჩემს 15 წლის ქალს პასუხი გამოეგზავნა თქვენი მოკითხვისათვის, დიან, ყმაწვილო კაცო, მე კოპენგაგენში მიმავალმა შემოვიარე აქეთ, რომ პირის-პირ გამეცნო ის კაცი, რომელიც ჩემს მწუხარების დროს, ცოლის სიკვდილის შემდეგ, ყოველ წლიე უგზავნიდა მგროპილად შორეულ ინდოეთში სასიამოვნო, პოეტიურ თაყვანის ცემას ჩემ ქალსა.

მოხუცის გულ-ახსნილ ლაპარაკმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჰერდზედ; მან გულ-წრფელად მიესალმა მოხუცებულს.—შემდეგ ნიშნათ მათ ერთმანეთის მეგობრობისა დალიეს ერთი ბოთლი ღვინო, ბოლოს პოლკოენიკმა მოიწადინა, ენახა ფრთიანი ელჩი, მაგრამ პარყატმა ამათ სრულებით არ მიაქცია ყურადღება; იგი გართული იყო ბუდის კეთებაში თავის პატარა ბლარტებისათვის.

ზამომშვიდების დროს ჰერდმა შეიტყო, რომ პოლკოენიკი მიღის თავის ქალით ძოპენკაგენში, სადაც აპირებდენ საკმაოთ დიდხანს დარჩენას თავის ნათესაებთან. ამათან პოლკოენიკმა სთხოვა ჰერდს, რომ ენახა ისინი; ამის შემდეგ ძველი მეგობრები, გაშმორდნენ ერთიანეთს.

რამდენიმე კვირის შემდეგ ჰერდი გაემგზავრა ძოპენკაგენისაკენ, იმას უნდოდა იქ რამდენიმე დღით დარჩენილიყო და ეს რამდენიმე დღე რამდენსამე კვირათ გარდაიქცა. ზაბიულში მოვიდა ამავე, რომ ჰერდი დანიშნულა პოლკოენიკის მდინე მაკნარის ქალზედაო. მალე დაბრუნდა, თვითონ ჰერდიც,




ქართული
საზოგადოებრივი
საბჭოთაო

რომ მიეცა განკარგულება საკირო მორთულობისა და სახლის მოსამზადებლად. შემდეგ ჰერდი ისევ პოპენჰაენში დაბრუნდა, ხოლო შემოდგომამდე თან მოიყვანა მშვენიერი ქერა-თმიანი, შავ-თვალემა ცოლი, რომლის მშვენიერ სახეს სრულებით ვერ შეატყობდით, რომ იგი აღზრდილ იყო ინდოეთის ტაძრების ნანგრევთა ჩრდილის ქვეშ—ბენარესში.

მოხუცებულმა ელჩმა ახალგაზდა ცოლ-ქმართან კიდევ რამდენიმე წელიწადი იცოცხლა აგბიულში, მაგრამ აგერა აგვისტოში შარყატის სახლობა ჩვეულებისამებრ გაფრინდა თბილ ქვეყნებში, მხოლოდ იგიი დარჩა მარტოდ საბძელზედ. შარყატი დაღვრემილი იჯდა ბუდის მახლობლათ... მესამე დღეს დილით შარყატი იპოვნეს მკვდარი ბაღის ახლოს. ჰერდმა, ცოლმა და ექვსი წლას მღვინმა დამარხეს შარყატი ბაღში სახლის უკანა. მედალიონსა და წითელ ქისას ცოლ-ქმარი ბროტენი მთელს თავიანთ სიცოცხლეში ინახავდნენ ბრილიანტსა და ძვირფას-ნივთებთა შორის.

ველის-ცინელი



სად რა მომხდარა.

* * ამ დღეებში შარისის მუნიციპალიტეტს უშოპნის ერთი ფრად საინტერესო ქალაქები, რომლიდანაც სჩანს, რომ 1808—1832 წლამდე შარისში დაუსჯიათ სიკვდილით: ჩამოღწობით და თავის მოჭრით, შეიღი ათას ასი ორმოც და ხაში კაცი და ქალი, ესე იგი, ყოველ წელიწადს გილიოტინას სოცდა 217 კაცსა, ეს საინტერესო ქალაქები თურმე უგუთნის გამჩინილს ჯალათს სანსონს, რომელიც 25 წლის განმავლობაში მექსისის რაფს თამაშბდა, ხოლო საქონლის მაგიერ ჭარებს ავდებინებდა თავებს. თუ საფრანგეთში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ეს ხდებოდა, ნეტა რა ნაირი „კატას სოცვა“ უნდა ყოფილიყო სხვა სახელმწიფოებში?!

* * საკვირველი ჩვეულებები არსებობს საფრანგეთში. მაგალითად, ამ დღეებში ერთი იჭაურა არტილერიის პოლკოვნიკი თოფ-წამლის საზღაურებსა ათვალაურებდა. შევიდა თუ არა ერთს საზღაურის ესოში, დარაჯად დაუჩნებულ სალდათმა მკარცად შეჭყვიარა.

- შესდექ?
- პოლკოვნიკმა გაიოცა.
- რაგორ ჭებდავ, შე ბრძიეო?

— ბ—ნო პოლკოვნიკო, აქ აღრძალულია რების წკვა. პოლკოვნიკმა მისეკ გადაგლო ციგარა და კმაყოფილებით უთხრა:


— ყოხად, ასე უნდა მოიქცე ყოველთვის ხოლმე, შენი თანამდებობის აღსრულების დროს, სოქვა ეს და შევიდა საზღაურში. სალდათმა აიღო პოლკოვნიკისაგან გადაგდებული ციგარა და არსეინად დაიწყო ციგარის ბოლებს!...

* * რუსული გაზეთები გაუწყებენ, რომ ერთს სოფელში სრსოვრობდა ბებური გლეხი თავის ცოლით და მორზდილ ვაჟითო. სწულია ახალ-გაზდა ემაწკელი ჰერ სწავლას შესდგომია, მაგრამ სასოფლო სკოლას და ისიც გლეხს, ახა რას მისცემს. სწავლისათვის თავი დაუნებებია და დაუწევია მუშაობა ქარხნებში, მაგრამ გინ არ იცის ქარხნების ამბავი? მუშას იმოდენა ეძლევა, რომ შიმშილით არ მოკვდეს. ამის შემდეგ შეიღს გადუწევეტნია ამერიკაში წასვლას და წასულას კადეც; ერთი ორი წელიწადი მშობლებს შეიღისაგან წერილები მოსდიოდათ, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ესეც მოისპო. დედამა ბეკრას სწულდენ, მაგრამ მწუხარებით არა გამოვიდა—რა. ცოლმა ქმარს დაუწყო ვეადრება: სულ შენ ხარ დამნაშავე, რომ განიუშა გადაიარგლო ერთს დღეს მოსურებული მამა ტეეში წავიდა და დილით ხეხედ ჩამოხრბობილი იპოვეს. საცოდავს მამას დარდისაგან თავი ჩამოუხრბია. თუ არის სადმე კადეც მამობრივი სიყვარული, მსოფლით დაბალ ხალხში, „ხარისსოვანებში“ მაგ ვარ გრძნობას სამთლით რომ ეძებოთ, მანც ვერ იპოვიო!...

* * ამ დღეებში ვეიმარში გახსნეს ვოლტკანგეტეს მუზეუმი. მთელი გერმანიის განანთლებული სოზოგადლება დაწრობია მუზეუმის გახსნის დროს. ორკესტრს დაუგრაგს გამჩინილის გამმზოზიტორის ლისტის ჭიმნო, დაწკრილი გეტეს სიტყვებზედ, რომელიც პოეტმა წარმოსქვა სიკვდილის აჟამს: „სინათლე მომეციოთ, მეტი სინათლე!“—

ვეირიდან ვეირამდე

* * როგორც შევიტეოთ ამიერ კავკასიის რეინის გზის მმართველობა ამ ცოტას ხანში შეუდგება კელსიის შენობას, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეზედ ადგილი გადმოხსატანი იქნება სხვა და სხვა საჭიროების დაგვარად.—



* * ს. სვედურეთიდან გვატყობინებენ, რომ ზოგიერთ სტენის მოყვარულთა ქართული წარმოდგენა გაუმართავთ, სხვათა შორის წარმოდგენაში მონაწილეობა მიუღია ჩვენს ნიჭიერს არტისტი-ქალს ნ. გაბუნია-ცაგარლისას. უთამაშნიათ ვოდევილი „ბაიუში“ და ერთ მოქმება გამოდია „სანუმიდან“ ორივე პიესა ეკუთნის ჩვენი პატივცემულის მწერლის. ავ. ცაგარლის კალამს.

* * უწესობას და ძვალ რბილადვე გარყვნილობას ბოლო არ აქვს ამ ჩვენს ქალაქში. ამ დღეებში, როგორც გავს. „ნორ—დარი“ ამბობს ერთს ვიღაც მოსუცბეს გაჭარს თავის ახალ-გაზდა ცოლის და, თხუთმეტის წლის ქალი, გაუპატიურებია!...

* * როგორც შევიტყუეთ თიანეთის მანძარში დიდი სეტყვა ყოფილა. სხვათა შორის ძალიან დაუხიანებია ს. სხმეტას და სხვა ახლო-მახლო სოფლების კენახებია.

არითმეტრიკული გამოცანები

ერთი კაცი ეკვლისაში შევიდა და ღმერთს შესთხოვა; ღმერთო! რაც ჯიბეში ფული მაქვს იმდენიც მამეც და მე შენ 1 მ. და ათი შაურის სანთელს დაგინთებო. ღმერთმა აუსრულა თხოვნა და იმანაც 1 მ. 50 კ. სანთელი დაანთო და გამოვიდა. მეორე საყდარშიაც ეს თხოვნა გაიმეორა; რაღა ღმერთმა აუსრულა კიდევ და 1 მ. 50 კ. სანთელი დაანთო... წავიდა მესამე საყდარში, შევიდა თუ არა იქაც შესთხოვა: იმდენი მომეც რამდენი ჯიბეში მაქვსო და სანთელს დაგინთებო. ღმერთმა მესამეთ აუსრულა თხოვნა. კაცმა მანეთ ნახვეარის სანთელი რა დაანთო ჯიბეში აღარა დარჩა რა. ვითხვა: რამდენი ჰქონდა ამ კაცს ფული, როდესაც პირველ ეკვლისაში შევიდა?

სიტყვების გამოცანა.

აიღეთ სახელი იმ მოძარტულებისა, რომლის საშუალებითაც წყალი ერთს ადგილს გროვდება, მოკვეთეთ ამ სიტყვას წინ უხმო ასო, დაურთედ ბოლოს ა, ამას მიუმატეთ სახელწოდება იმ ადგილისა, სადაც წყალი ერთხელ შეგროვილი უძრავად სდგას და ეს სიტყვა ორ ჯერ გაიმეორეთ წოდებითის ბრუნვითა, ამას კიდევ მიუმატეთ სიტყვა, რომელიც პირველი ხარისხის ნათესაობას

ნიშნავს: ყველა ეს შეადგენს სახელს და გვინდა იმის გამოცანა, რომელსაც ესლა ყველა განათლებული ქართველი იცნობს.

ზმების შედგენა

შეადგინეთ ზმა შემდეგ სიტყვებზედ, მაგრამ ისე რომ სულ არ იხმაროთ არც საკუთარი სახელები და არც უცხო ენის სიტყვები: ალმინი, ტასო, ჯანი, ვალია, ჯორო, კიპი, ფოთი და სანდრო.

ახსნა ხალხური გამოცანებისა

- I. დამურა. II ნარდი. III ენის მკა.
- VI იოანე ნათლის-მცემელი—

ახსნა სიტყვის გამოცანისა.

შოთ(ი) ა—რუსთა—ველი შოთა რუსთაველი
გამოიცნეს: ლიზა—ყ—ამ;—მასილი—შ—
და მათიკოსა—მა.

ახსნა არითმეტიკული გამოცანისა

ქათმის გამოიდევს ყვანდა სულ 15 ქათამი, პირველს მისცა 8, მეორეს 4. მესამეს 2. და მეოთხეს 1. გამოიციენს: კოტე ნასიძემ და მიხეილ ყ.

კინტოყური წერილი

ძმაო ხელახჯან!

ზამარჯობა, ძმაო ჯან!... როგორ გუნებებედ ბრძანდები? მივიღე შენი ზეთუნის წერილი, გაბერილხარ თუთიყუშივით და რაც-კი ზვედენიაში ლოცვა-კურთხევა გისწავლია, დაგიგროვებია ერთად და გამოგიგზავნიან. ჰა, რას ჩამოგიშვია ცხვირ-პირი უხვირო ჯორივითა, შენი პატრონიცა და... რას იმტერევი მოსკოვის სუხარივითა! ვიცი, შეილო, გიცნობ, რა ჯველიცა ხარ! კარგია, კარგი, სიფათ-შავი ნუ იქნები და—რას ჯავრობ, რომ ჯავრობ! ჩემს წერილზე მოგიწერია, რომ ჰკვებდ მოდი, ტენის კოლოფში მარტო ქარი ნუ გიბერავსო. რა დროს სიყვარულია, ამ დროებას შეხედეო... და შენ-კი გაგიფრენია და ჰაი-ჰარა უშტყენო...

რაში მოგეწონება! აფსუს ღიბიანა სოლომანას ტიკო, რომ მთავე კვასით ავაფესს! აბა, რა, ძმაო, შენ ფეხებზე გკიდია მთელი ღუნია, შემძრვალხარ ჭიტესას ვენახში და ელი ვაზის წვეწვს: ქალაქში ჩამოდი, ერთი ჩამოიხედე, რაამბავია და... ჭრელი პეპლებივით რომ დაკუჭკუჭობენ მარგალიტის მარგალიტის მარცვლები. მართი შეხედე მათს მურაზს, იმათ იერსა და... შლიაპა წითელი, ბათინკები ყვითელი, ტიურნური ლურჯი, ქობა მწვანე, ჩულქები თეთრი, თვალები მაყვალი, თმები გიშერი, კბილები მარგალიტი, ტანი კიბაროზი, ლოყები ლაქვარლი... შეხედე და თვალ-ნაკრავსავეთ ვახში, დაიგრიხე, დაიწვი. დაიდაგე, გულში გენია აინთე!.. რას ამბობ, რას...

თუ ის არ მყავს გამიხმება ძირი შტოს. უიმისოდ შევმა ჭირმა ჩაპროშტოს! მაშ შენა გგონია, დედა-კაცი არ გაჩენილიყო რა გვეშველებოდა, სულ შენისთანა ტარტაროზის მაშხალეები უნდა ყოფილიყვნენ ქვეყანაზედ, რალა!.. შენისთანები რომ ყოფილიყვნენ კიდევ ალბად ხეირ, მაგრამ „ბაშფორთ ესტე“, უჰ! არა, იმას, ვენაცვალე აღამას გვერდი, სიყმე ამოაცალა და იქიდვან ლამაზი, კოპწია გოგონა გააჩინა. მარტო ტიურნურიარ მისცა, თორემ ხელები, ფეხები სულ დედა-კაცისა ჰქონდა ევასა. ამიტომაც დედა-კაცი ღვთისაა, ტიურნირი ეშმაკისა, მაშა!

ჰო, ტიურნური ამ ზამთარს კვირადღეს მოვიცალე და ვსთქვი, ცირკში წავალ-მეთქი, წავიკითხე აფიშაში, ტიურნურზე ითამაშებსო ვა როგორ თუ ტიურნურზე... თურმე ტიურნური ჯოხები ყოფილა, მე კი მეგონა, ხა! ხა! ხა!..

მაგრამ ვის ველაპარაკები, მე მეცინება, ჩემმა გულის ვარდმა გამიცინა, შენ კი ჩამოგიშვია ცხვირპირი. მართლაც და ქალებსაც რომ არ მოსწონს, ჩემი წერილები, ზოგიერთებმა ისეთი წიწაკის თაიგულები მომართვეს, ისე შემამკეს, რომ არ ვიცი სად წავიდე. „ბი მეხი კი დაგაყარე ბანდურა თავზედა, არ დასაცალბეელიო!—ქა, სალახანა იქნები ვინმე, თორემ რიგინი მაგას დასწერავდაო! „შენ კი გაუფუჭდი შენს პატრონს, თვალებიც გამოგხეთქიაო! მიწამ მოგინახოს პირი, აჰა! და ათასი ამისთანები. მაგრამ არ დაიჯერო, არა! უჰ, „მადამ ბარიშნა“ რაც ზემოდან დადის, ორი იმოდენა ქვეშიდან არის. ბევრმა გოგონამ ჩემის წერილის წაკითხვის დროს თვალები ძირს დაილო, ძირს დაიხედა და იფიქრა...

მაგრამ რაც უნდა იფიქრონ, მე მაინც იმას ვიტყვი, რომ...

ღეე, ღამგმონ, დე ქოქოლა მაყარონ,
ემხით ღამწვან, ღეე, ნუ შემიყვანონ,—
მე მაინც-კი იმათ ვაქებ, ჩემს თაიგულეებს,
„მუალ“ — „ძარსეტ“ — ბაუა“ ტიურნურია-
ნებს!“.

შენი დალაქი ხეჩუა.

გასართობი

*** ორ ვოდველებს მწერალთ საზიაროდ ერთი ზიესა დაწერეს. დადგეს შირველად—არა ფერი, ხალხს მოეწონა, მეორეზედ კი, ფარდა ახსდა თუ არა ერთი საშინელი სტეკნა ატყდა. ამათ ნეკზე იკმინეს, იფიქრეს აქ უეპეკლად რამ ბოროტ განზრახვაა და აქეთ—იქით თვალიერება დაიწეს, უნდოდან გაემუღვენებინათ ეს შეთქმულაბა. ერთმა დაინახა იქვე ახლოს მალაღ—მალაღი ემაწვილი კაცი, რომელსაც უშველებელი გასაღები ეჭირა სულში და რაც მალი და ღონე ჰქონოდა უსტეკნად. ავტორთ უეცრად შეარდგინეს ამ საშიში მტრის დასამარცხებელი ზღანბი: ერთი მათგანი წავიდა და იმ ემაწვილის გვერდით დაჯდა. დაიწეს ლაპარაკი:

— რა სულელური რამაა ეს ზიესა—უთხრა ავტორმა ემაწვილ კაცს.

— უსამაგლესი! მიუგო მან,—ხო ჰხედავთ მეც საკმარისად ვურილობთ ჯავრს ამ ხელაქნებითი სწავლის მუწარცხოფისთვის.

ესა სთქვა და უფრო გულანხად ჩაჭბურა თავის გასაღებს.

— მართლაც ბრძანებთ, მაშ არც მე ჩამოვრჩებით, უთხრა ავტორმა, ამოდლო ჯობიდამ ზაწაწკინტელა. გასაღები და დაიწყო სტეკნა. მისი სტეკნა ძლივს ისმოდა.

— ეს, ჩემი კრიტიკა ელიერ სუსტი გამოდგა, უნდა ღონე მოუმატო როგორმე. არ შეიძლება ცოტახანს თქვენი გასაღები მათსოკოთ?

— რატომა, ინებეთ! მეორე ავტორმა, რავი გასაღები თავის ამხანაგის სულში დაიგულა, ქაქანით მოკარდა და უთხრა ამხანაგს.

— აბა, ჩქარა, თუ გინდარომ მოელაპარაკო ნუღარ იკვირებ, წადი, თორე გაგისწრობს. ავტორი წამოხტა, გაქანა კარებისაკენ, და ვითომ დაჯიწყდა, ამ ემაწვილი კაცის გასაღებიც თან გაიყოლა... გასაღების ზატონი ცოტა არ იყო ეჭვი შეეიდა; გამოვიდა ზარტე რიდგან და დაუწყო წამლებს ძეხნა. ამ ძეხნაში ზიესამ მშვიდობიანად ჩაიარა ავტორნი სტეკნაზედ მიეშურებოდნენ დაწინ დირეკტორი შემოეყარათ.

— არ მესმის, ღმერთმანი, ეს რას ჰნიშნავს. დასწევისში ისეთი არია-ქოთი, სტეკნა, ბოლოს კი—სრული სიჩუმე და თითქმის, თანაგრძნობა... ეს ამბავი სწორედ გამოცანა იქნება ჩემთვის!

*** ერთი ემაწვილი სახლსა ქირაობდა.

— ოთახს არა უჭირს რა, მომწონს, ერთი ესა—საშინელი მალაღია.

ქს, კვ ხო სული ზუსტოი რამ არი!.. საქმე ის არის მოგწონდეს!.. შენი ხათრი ჯამათ იყავ კნახე, ჯერ ჰმას სახლი ახალია.. ცოტა ხანს შემდეგ ერთი ნახსა იქს და დაიწეს... სწორეთ იმ სიამაღლე დადგება, რაც შენ გინდა.. ჩემი სიყმის მზეკე!..



უწინ ერთი ნუნუის უსტახში თავადიშვილი, რომელსაც ხოლერისა ძლიერ ეშინოდა, ავად გასდა; მასში-ნათვე ცხენი და ბიჭი აფრინა ეჭიმთან.

თუ გინდათ რომ ხოლერას გადურჩეთ აღარც ღვი-ზნო უნდა დალიოთ და არც გასჯავრდეთ.

ბიჭო ცდა—განა ეგ შეიძლება! ნუ გასჯავრდები!... განცა შინში მითხრას ღვინოს ნულა დალეკო და არ გასჯავრდე? არა, შეილა, ათი ხოლერაც რომ მეცეს მანც შე დათივას ცემს არ მოვიშლი!

* * * გატულმა ჰკითხა ფილიპეს: რათა ჰყუფო? იმიტომ, რომ ჭურდსა ვხედავო, უპასუხა მან.

* * * ერთხელ ციცერონმა დაინახა თავისი ტახა-და-ბალი სიძე, რომელსაც უშეულებელი ხმალი შემოკრტყა და შეჰყვირა: ჩემი სიძე ხმალზედ ვის მიუბავსო?!...

* * * ერთმა ზატარა ბიჭმა თავის ნანახი სიზმარი უამბო თავის უძრროს ძმას:

— მეც კონდიტრის მადანიაში ვიყავი და შაქრის ზურებს და გამოეტუბს ვკამდია!

— მეც იქ ვიყავი?—კითხა უძრროსმა გულ-მოდ-გინეთ.

- არა, შენ იქ არ ყოფილხარ, მიუგო ძმამ.
- როგორ თუ არ ვიყავი!? შესკვივლა ბავშა
- ისე, რომ იქ არ იყავი! ეუბნებოდა უფროსი ძმა.

უძრროსმა ბავშვს საშინელი ტირილი მოერთა:
— რატომ მე ვი იქ არ ვიყავიო.

ჭკუის სალარიო

ბუნებას და გენიოსობას მუდამ ერთი შირი აჭკო-რასაც დაგზინდებიან—ავისრულებენ. (შილლერი)

ჭკვიანი კაცი არამც თუ სისუფელესარ იტყვის, არა-მედ სისუფელეს ყურსაც არ დაუგდებს. (ბერნე)

გარკვანი ბრწყინვალეა დაკრძალვებში უმჯობესად ახარებს. (გორაციო)

ყოველს წვეროზედ ცარიელი ტომრის გამაგრება ძლიერ ძნელია. (ფრანკლინი)

გონის უბედურების წინამორბედაა. (ავგანური ანდაზა)

საყვარლის სულმა რა მოყურის საფლავზე გაი-არსა, რად მივივინს მკვდარი გაცოცხლდეს ძვალნი დახატდეს არსა (ქილილა და დამანა)

ღმიღილი მატყუარია, სიტყვა არ დასჯურია. (ბავა) ცხარეებსაც აცისვროვანებს სული საქმიითა მეტყუელი- (ილია)

მიტქელი ვერ იქს, მქნელი ვერ იტყვის. (ჭართული ანდაზა)

«თეატრის» ფოსტა.

ქუთაისში. ანონიმს. მივიღეთ თქვენე ურცხვი წერი-ლი... იქნება გგონიათ, რომ ფსევდონიმის ფარდის უკან მო-ფარებულს, ვერ გიცნით ვინცა ზართ?... ტყუილი იმედა. თქე-ნისთანა „პოეტები“ მაშინათვე იცნობა გრძელ ყურებზედ. ჩვენ ესეც ვიცით რამ გაიძულათ თავის თავზედ ლაფის დასხმა. ჩვენი მართებული „ფოსტა“ არ გეჭაზნიკათ, მაგრამ ჩვენ მით მანც მო-ზარულნი ვართ, რომ ფოსტამ შეასრულა თავის დანიშნულება—მოგზდათ სატკივარში!.. გარწმუნებთ, რომ თქვენი გალიქსული ტავი—მასხრობა ბევრს გვაცინებს, და რაც უფრო ხშირად მო-იწერებთ (თუ მარკების ფული გექნება) მაგისთანა უმსგავსი ბო-დვას, უფრო გვასიამოვნებთ, რადგან ამით უფრო მაღე დაიც-ლებით იმ ჭეუჭყიანი დობობებისაგან და უკბილო ბრავებისაგან, რომელთაც ფართო ბინა დაუმაკიდრებია თქვენს ფლიდურ გულ-ში და მტენარს გონებაში.—ფერ ფერობით ესეც სამყოფია.

რედქტორ-გამამცემის მაგიერი ვალენტიან გუნია.